საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.ქობულეთი

8 ივნისი 2010 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-38

შ.პ.ს. „მაგთიკომი“-სათვის „ოპტიკურ-ბოჭკოვანი“ საკაბელო მაგისტრალის გატარებაზე – თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ შ.პ.ს. „მაგთიკომი“-ს მიერ იგეგმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ოპტიკურ-ბოჭკოვანი“ საკაბელო მაგისტრალის გატარება, რომელიც გაივლის არსებულ საკომუნიკაციო შახტებში, კერძო მიწის ნაკვეთებში და საზოგადოებრივ ტერიტორიებზე.

პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს როგორც სხვა რეგიონების, ასევე ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის ხარისხს.

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №-140 დადგენილების „ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-9 მუხლის 3-ა პუნქტის შესაბამისად:

1.დაკმაყოფილდეს შ.პ.ს. „მაგთიკომი“-ს თხოვნა და მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ტერიტორიაზე „ოპტიკურ-ბოჭკოვანი“ საკაბელო მაგისტრალის კაბელის გატარებაზე.

2. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „მაგთიკომი“ მასზედ, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოფს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობას.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ჯ.ჯინჭარაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ს.ტაკიძე